სახემწიფო შესყიდვის შესახებ № 100
ხელშეკრულება

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ **აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი აპარატის უფროსის რუსლან ქორიძის სახით, და მეორეს მხრივ შპს ,,ელვა ჯი", მისი დირექტორის ნიკო კბილაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს გაზეთებისა და სამეცნიერო ჟურალების მიწოდება (CPV22200000 - გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები), შემგომში - „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებებს გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონთვალი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს)

1.2 მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 041,60 (სამიათას ორმოცდა ერთი ლარი 60 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4 ანგარიშსწორება განხორცილედება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე უნაღდო ანგარისსწორების გზით.

3. გამოყენებული ტერნმინების განმარტებები:

3.1 ხელშეკრულებაში ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემ-სყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდეტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

ბ) „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
გ) „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
დ) „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
ე) „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

4. ხელშეკრულების ინსპეტირების კონტროლი

4.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად კონტროლს განახორციელებს აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნათია სირაბიძე.
4.2. მიმწოდებლის მიერ კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5 .შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომაგენლის ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
5.4. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და პირობების შესრულებაში.
6.3 შემყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება, ყოველთვიურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ან/და პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელების მიზნით, შემსყიდველს შეუზღუდოს/შეუწყვიტოს მომსახურების მიწოდება, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების დარღვევად და შესაბამისად მიმწოდებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდ-ველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
8.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.
8.7. წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.8. წინამდებარე ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.9. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის განზრახვის თაობაზე, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით, შეწყვეტამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

9. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები:

9.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
9.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი) და დაუძლეველი ძალის გარემოება:

10.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწ
ვალდებულებების შეუსრულებლობის ანარაჯეროვანიდ ა/ან დაგვიანებით შესრულ
პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებ
შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით, რაც ა
გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემეობა“ ნიშნავს მხარეთ
და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არარის დაკავშ
მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძ
მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მ
შემოიფარგლება ამით:
ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია,ემბარგო;
ბ) აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უკანონოქმედება ან სამოქალაქო ომი;
გ) ამბოხი ან საბოტაჟი;
დ) საზოგადოების მტრების ან ტერორისტების მოქმედებები;
ე) სტიქიური უბედურებები (ქარიშხლი, ქარბორბალა, წყალდიბობა და სხვა), ეპიდემ
ნტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება
ვ) სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს–მაჟორულ გარ
ან/და რომელიც ასეთად იქნება აღიარებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.
10.3. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან ი
ლდებიან მხოლოდ იმ დროთა დამოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველ
სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის. დაუძლეველი ძალის გა
მოქმედების დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაცშეიძლება
უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გა
დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და
და ორივემ ხარემ უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხ
ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით;
10.4. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგარძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ხნ
ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინ
ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მოშლა);
10.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს–მაჟორული გარემოებების გამო მხარეები შეთან
ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწ
ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრ
ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდ
მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სი
გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის;

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდ
ლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და და
ოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომ
ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემს
და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნ
მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამარ

12. გადასახადები და ბაჟები

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

13. შეტყობინებები

13.1 შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია მეორე მხარის მისამართზე.
13.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვ-ლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას სწორედ აღნიშნული შინაარსით.
14.2.წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია აჭარის ა. რ. მთავრობის აპარატის ბეჭდით. თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ხელშეკრულება იდება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.
14.3. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
14.4. სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ ასრის წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი	შპს ,,ელვა ჯი“
მის: ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N9	მის. ქ. თბილისი. იოსებიძის ქ. N49
ს/კ 245 424 090	ს/კ 204447544 სს ,,საქართველოს ბანკი“
აპარატის უფროსი	ბ/კ BAGAG22 ა.ა GE17BG0000000887421300
რუსლან ქორიძე	დირექტორი ნიკო კბილაძე

დანართი **N1**

N	გამოცემის დასახელება	ეგზემპლარი / რაოდენობა	რაოდენობა სულ **12** (თვე)	რაოდენობა სულ **12** (თვე)	ერთეულის ფასი	მიწოდების ვადა	თანხა
1	აჭარა	1	156	156	0,5	01.01.2015 - 31.12.2015	78
2	აჭარა პს	1	52	52	0,5	01.01.2015 - 31.12.2016	26
3	ბათუმელები	3	52	156	1	01.01.2015 - 31.12.2017	156
4	ახალი ვერსია	1	156	156	0,5	01.01.2015 - 31.12.2018	78
5	ახალი თაობა	1	312	312	0,3	01.01.2015 - 31.12.2019	93,6
6	ასავალ დასავალი	1	52	52	2	01.01.2015 - 31.12.2020	104
7	ალია	1	208	208	1	01.01.2015 - 31.12.2021	208
8	ქრონიკა	1	52	52	1	01.01.2015 - 31.12.2022	52
9	ქრონიკა +	1	52	52	2	01.01.2015 - 31.12.2023	104
10	კვირის პალიტრა	1	52	52	1	01.01.2015 - 31.12.2024	52
11	24 საათი	1	52	52	0,5	01.01.2015 - 31.12.2025	26
12	რეზონანსი	1	360	360	0,5	01.01.2015 - 31.12.2026	180
13	ეკონომიკა	2	12	24	5	01.01.2015 - 31.12.2028	120
14	ლიბერალი	1	12	12	5	01.01.2015 - 31.12.2029	60
15	პრაიმ ტაიმი	1	52	52	2	01.01.2015 - 31.12.2031	104
16	საქართველოს რესპუბლიკა	1	260	260	0,5	01.01.2015 - 31.12.2032	130

17	გადასახადები და აღრიცხვა	1	24	24	6	01.01.2015 - 31.12.2033	144
18	ბუღალტრული აღრიცხვა	1	12	12	6	01.01.2015 - 31.12.2034	72
19	აგრარული საქართველო	1	12	12	2	01.01.2015 - 31.12.2035	24
20	Georgian today	1	52	52	2,5	01.01.2015 - 31.12.2037	130
21	Georgian journal	1	52	52	2	01.01.2015 - 31.12.2038	104
22	national Geographic (ქართულად)	1	12	12	7	01.01.2015 - 31.12.2039	84
23	Forbsi (ქართულ ენაზე)	1	12	12	7	01.01.2015 - 31.12.2040	84
24	The Georgian Messenger	1	264	264	3	01.01.2015 - 31.12.2041	792
25	Business Time Georgia	1	12	12	3	01.01.2015 - 31.12.2042	36
სულ ჯამი							**3041,6**